მაია გელაშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის
ასოცირებული პროფესორი

ნაირა ყირიმლიშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის (საბაუნი)
აფილირებული პროფესორი

ტურიზმის დარგის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

ანოტაცია

თანამედროვე მსოფლიოში ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკაზე დადებით გავლენას ახდენს. განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია ისეთი პატარა და განვითარებადი ქვეყნების ფინანსური პრობლემების მოგვარებისათვის, როგორიც საქართველოა. ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება ხელს უწყობს, როგორც ფინანსური შემოსავლების ზრდას, ასევე სამუშაო ადგილების შექმნას, ხოლო ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისით, ქვეყნის მდგრად განვითარებას, უცხოურ ინვესტირებას და გარემოსდაცვითი თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის უზრუნველყოფითობას. რაც საბოლოოდ, საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობაზე აისახება. ტურიზმის სფეროს განვითარებისათვის მნიშვნელოვანია თითოეულ რეგიონულ დონეზე სტრატეგიული გეგმისა და კონცეფციის შემუშავება, ვინაიდან ქაოტურად არ განვითარდეს ტურიზმი. კერძოდ, თავიდან იქნეს აცილებული ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორიცაა ბუნებრივი რესურსების ჭარბი მოხმარება, ჰაერის დაბინძურება, კულტურული ლანდშაფტის განადგურება, ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია და მრავალი სხვა. მთავრობის მზადყოფნა ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით უნდა იყოს გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი ვინაიდან მთავრობა, ერთი მხრივ, გამოთქვამს მზაობას ტურიზმის განვითარებაზე, მეორე მხრივ, იწყებს იმავე რეგიონში ჰესების მშენებლობას, რომელიც, რა თქმა უნდა, უარყოფითი გავლენის მატარებელია, როგორც ბუნებრივ რესურსებზე, ასევე მოსახლეობაზე. ამიტომაა მნიშვნელოვანი მოსახლეობის ჩართულობა რეგიონებში სტაბილური და მდგრადი ტურიზმის განვითარებაში. ეს აქტივობა საბოლოოდ ხელს შეუწყობს ადგილობრივების დამაგრებას, რაც აუცილებელი პირობაა ქვეყნის მოსახლეობის, როგორც სოციალ-ეკონმიკური განვითარების, ასევე ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა.

საკვანძო სიტყვები: *დაცული ტერიტორიები, ლანდშაფტი, გამტარუნარიანობა ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, ტურიზმის ინდუსტრია.*

საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ტურიზმის სექტორი თამაშობს. განსაკუთრებით კი მნიშვნელოვანია ისეთი პატარა და განვითარებადი ქვეყნების ფინანსური პრობლემების მოგვარებისათვის, როგორიც საქართველოა. ტურიზმის ინდუსტრიის განვითარება ფინანსური განვითარების თვალსაზრსით ხელს უწყობს, როგორც შემოსავლების ზრდას, ასევე სამუშაო ადგილების შექმნას. ხოლო ქვეყნის ეკონომიკურ

განვითარებაში უზრუნველყოფს უცხოურ ინვესტირებას, მდგრადი პოლიტიკის განვითარებას, გარემოსდაცვითი თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას. რომელიც საბოლოოდ საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობაზე აისახება. საუკუნეების წინ, როდესაც ჯერ კიდევ სახელი არ ჰქონდა ეკონომიკურ ზრდას, ტურიზმის სექტორიდან სახელმწიფოები ღებულობდნენ უდიდეს სარგებელს. მრავალი წლის შემდეგ ტურიზმის სექტორის განვითარება საგრძნობლად გაიზარდა და რიგი ქვეყნებისთვის ბიზნესის საუკეთესო პირობაა. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ უდიდესი წვლილი შეიტანა ტურისტული ბაზრის შეცვლაში. ზოგიერთი ადამიანისთვის დასვენებას და მოგზაურობას არა პოპულარული ქვეყნები არამედ ეგზოტიკური ქვეყნები განსაზღვრავს. მართალია, დღეისათვის ევროპა პირველ ადგილზეა, მაგრამ დიდია მოთხოვნა აღმოსავლეთ ქვეყნებზე, მათ შორის საქართველოზეც. ტექნოლოგიების განვითარებამ უზომო პოპულარობა მოუტანა ვირტუალურ ტურიზმს, ვინაიდან ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ნებისმიერი ქვეყნის ონლაინ დათვალიერება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტურიზმი ბევრი განვითარებული, განვითარებადი და ნაკლებად-განვითარებულ ქვეყნებში შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს, მოსახლეობას ეძლევა საშუალება, ადგილობრივ დონეზე თვითდასაქმდეს, ვინაიდან შეუძლია ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურებების რეალიზაცია შემოსავლის წყაროდ აქციოს. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ატარებს სხვადასხვა ღონიძიებას, რათა ხელი შეუწყოს ადგილობრივ მოსახლეობას საოჯახო ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირებისთვის, ვინაიდან ტურიზმში დასაქმება ქმნის, როგორც სამუშაო ადგილებს, ასევე გვეხმარება სიღარიბის დაძლევაში.

დღეისათვის საქართველოში ტურიზმი პრიორიტეტულ მიმართულებადაა მიჩნეული. კერძოდ, ვიზიტორები მოგზაურობენ დაცული ტერიტორიების ლანდშაფტში და ისვენებენ ეროვნულ პარკებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რეკრეაციული ტურიზმი მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომლებიც ცხოვრობენ მიმდებარე ტერიტორიაზე, ვინაიდან ვიზიტორებს სთავაზობენ მათ მიერ წარმოებულ ადგილობრივ პროდუქციას, რომელიც სწორედ მოსახლეობის სტიმულია, როგორც დასაქმებისათვის (საოჯახო სასტუმროები, ტრანსპორტი), ასევე ადგილობრივი (რეწვის ნიმუშები, ეროვნული სამზარეულო) წარმოებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ვიზიტორებს, რაც უფრო მეტ ტურისტულ მომსახურებას შევთავაზებთ, მით მეტი გამტარუნარიანობა იქნება.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული სტატისტიკის 2021 წლის მონაცემების საფუძვლის მიხედვით, 2019 წელს საქართველომ ტურიზმიდან 3,2 მლრდ. აშშ. დოლარი მიიღო, რომელმაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 8,4% შეადგინა. ეს დადებითი მოვლენაა, როგორც პანდემიით გამოწვეული სტაგნაციის ასევე ფულადი კაპიტალის კრიზისის დასაფარად. კერძოდ, 2021 წელს, საქართველომ 1,88 მლნ. უცხო ქვეყნის ვიზიტორი მიიღო, რაც წინა 2020 წლის მონაცემებთან შედარებით 7,7%-ითაა გაზრდილი. (იხ. დიაგრამა N1 საერთაშორისო მოგზაურობის სტატისტიკა)

აღნიშნული დიაგრამა ანალიზს გვაძლევს იმისა, რომ 2021 წელს საქართველოს საერთაშორისო 1,88 მლნ. ვიზიტორი სტუმრობდა, რაც წინა წლის მონაცემებს 1,7 მლნ.-ით აღემატება, ხოლო ზრდა 13,7%-ია, ხოლო ტურისტული ვიზიტების რიცხვი 1,5 მლნ. ვიზიტია, რაც წინა წელთან შედარებით 45%-ით მეტია. ძირითადად ვიზიტორების 86,3% მეზობელი ქვეყნებიდანაა, განსაკუთრებით მაღალი ტემპით 49,5%-ით ირანიდან შემოსული ვიზიტორებია, რაც სავიზო რეჟიმის გაუქმებასთანაა დაკავშირებული. საერთაშორისო მოგზაურთა დიდი ნაწილი-82% სახმელეთო ტრანსპორტითაა შემოსული, საჰაერო ტრანსპორტით-18%, ხოლო სარკინიგზო ტრანსპორტით 1%. სახმელეთო ტრანსპორტით შემოსული ვიზიტორებისთვის ყველაზე დატვირთული საზღვარია სარფი- 21%, შემდეგ სადახლო 19% და წითელი ხიდი 18 % როგორც საერთაშორისო მოგზაურობის ვიზიტორების. შეიძლება ითქვს, რომ საქართველოში ტურიზმი თვისობრივად გარდამავალ ეტაპზეა და ახალ სისტემაზე გადადის, ვინაიდან ჯერ კიდევ უცნობი ქვეყანაა მოგზაურებისთვის, რაც ქვეყნის მონახულების სურვილს თანდათანობით ზრდის და

დიაგრამა N1 საერთაშორისო მოგზაურობის სტატისტიკა



	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
საერთაშორისო მოგზაურობის ვიზიტები	5.889	6,306	6720	7903	8680	9358	1747	1881
საერთაშორისოვიზიტორების ვიზიტები	5004	5256	5393	6483	7203	7226	1513	1721
ტურისტული ვიზიტი	2939	3012	3297	4069	4757	5080	1087	1577

წყარო: ***საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 2021წ.***

უფრო საინტერესოს ხდის. კერძოდ, ვიზიტორებისათვის საქართველოს მრავალფეროვანი ლანდშაფტის, თვალწარმტაცი ბუნების, სუბტროპიკული ზონის, კლდეში ნაკვეთი ქალაქების, ისტორიული ძეგლების და სხვა ტურისტული ზონების შეთავაზება შეუძლია. ასევე, ტურისტული ვიზიტორები 2014 წლიდან 2019 წლამდე ხასიათდებოდა ზრდადობით, ხოლო 2020-დან დღემდე ვიზიტორების მნიშვნელოვანი შემცირებაა, როგორც საერთაშორისო ისე შიდა ტურიზმზე, რაც სავარაუდოდ პანდემიასთან დაკავშირებული სიფრთხილითაა გამოწვეული. ტურისტულად აქტიური ქვეყნისთვის, მთავარი შემოსავლებია. 2021 წელს ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2019 წელთან შედარებით 40%-ით აღდგა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2021 წელს საერთაშორისო მოგზაურებიდან საქართველომ 1,2 მილიარდი აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო, რაც 1,30 პროცენტით მეტია 2020 წელთან შედარებით. ამასთან, შემოსავლებმა საერთაშორისო მოგზაურებიდან 2019 წლის მაჩვენებლის 38 პროცენტი შეადგინა.

აღსანიშნავია ის გარემოებები, როცა ტურიზმის სფეროდან განსაკუთრებით პანდემიამდე იზრდებოდა, როგორც ვიზიტორთა რაოდენობა, ისე მათგან მიღებული შემოსავლები. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით საქართველო 141 ქვეყნიდან 69-ე ადგილზეა, ხოლო შემოსავლების მიხედვით, 2017 წელს ტურიზმიდან 2.7 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო, ხოლო 2021 წელს შემოსავლები 77,5%-ით შემცირდა და 98,3$ მლნ.დოლარი შეადგინა [ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 2021] საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების მიხედვით [საქართველოს ეროვნული ბანკი], 2021 წელს საქართველომ საერთაშორისო მოგზაურობიდან 1,2 მლრდ. აშშ. დოლარი მიიღო, რაც 2020 წლის მაჩვენებელს აღემატება 130%-ით, ხოლო 2019 წელს ჩამოუვარდება 62%-ით. მდგომარეობა, რა თქმა უნდა, არასასურველია, თუმცა ბუნებრივია პანდემიურ პერიოდთან შედარებით. (იხ.დიაგრამა N2 შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან).

დიაგრამა N 2



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მნიშვნელოვანია, რომ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ქვეყანაში დარჩეს, ამისათვის კი ადგილობრივი წარმოების განითარებაა საჭირო. ლარის გამყარების ბოლოდროინდელი კურსიც პირდაპირ უცხოურ ინცესტიციებზეა დამოკიდებული, თუმცა ამ შემოსულობებით ქვეყანა სრულყოფილად ვერ სარგებლობს, ვინაიდან გარკვეული ნაწილი ისევ ქვეყნის გარეთ გაედინება. ეს ის გამოწვევაა, როცა ქვეყანა რეალურად იმპორტზეა დამოკიდებული. გამომდინარე იქიდან, რომ ტურიზმი ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყაროა, ხელისუფლება მეტ თანხას უნდა ხარჯავდეს სარეკლამო და მარკეტინგულ მომსახურებაზე ვინაიდან ვხედავთ, რომ იზრდება, როგორც ვიზიტორთა რაოდენობა, ასევე ვალუტის შემოდინება. საყურადღებოა, რომ 2021 წლებში თვეების მიხედვით დაცულ ტერიტორიებში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის ტემპი. კერძოდ, თუ იანვრის თვეში ქვეყანას 4805 ქართველი და 749 უცხოელი ვიზიტორი სტუმრობდა, დეკემბერში მისი რაოდენობა გაზრდილია ქართველ ვიზიტორებში 1,5-ჯერ, ხოლო უცხოელებში 12-ჯერ. (იხ.დიაგრამა N3 დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა რაოდენობა), როგორც წესი, ვიზიტორების ინტერესია, როგორც ბუნებრივი პირობების, ასევე მოსახლეობის ტრადიციული ცხოვრების წესი. მთავრობის განცხადებით, მსოფლიოს მასშტაბით 2025 წლისთვის საქართველო ცნობილი იქნება და კონკურენტი არ ეყოლება ტურიზმის დარგში, სადაც ვიზიტორების მიერ დახარჯული თანხის

დიაგრამა N3 დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა რაოდენობა



წყარო: http://apa.gov.ge/ge/statistika/vizitorta-statistika/2021-wlis

რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზრდის, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო წყაროს, ასევე ქვეყნის ეკონომიკას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია დასაბუთებული შეფასებისთვის იმ ფაქტორების გაანალიზება, როცა სრულყოფილად ვერ ხერხდებაარსებული რესურსებისათვისება. თუმცა ქვეყანას გააჩნია, როგორც მდიდარი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ასევე ტრადიციები.

ამრიგად, ტურიზმის სფეროს განვითარებისათვის მნიშვნელოვანია თითოეულ რეგიონულ დონეზე სტრატეგიული გეგმისა და კონცეფციის შემუშავება, ვინაიდან ქაოტურად არ განვითარდეს ტურიზმი. კერძოდ, თავიდან იქნეს აცილებული ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორიცაა ბუნებრივი რესურსების ჭარბი მოხმარება, ჰაერის დაბინძურება, ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია, კულტურული ლანდშაფტის განადგურება და მრავალი სხვა. მთავრობის მზადყოფნა ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით უნდა იყოს გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი, ვინაიდან, ერთი მხრივ, გამოთქვამს მზაობას ტურიზმის განვითარებაზე, მეორე მხრივ, იწყებს იმავე რეგიონში ჰესების მშენებლობას, რომელიც, რა თქმა უნდა, უარყოფითი გავლენის მატარებელია, როგორც ბუნებრივ რესურსებზე, ასევე მოსახლეობაზე. ამიტომაა მნიშვნელოვანი მოსახლეობის ჩართულობა რეგიონებში სტაბილური და მდგრადი ტურიზმის განვითარებისა. ეს აქტივობა საბოლოოდ ხელს შეუწყობს ადგილობრივების დამაგრებას, რაც აუცილებელი პირობაა ქვეყნის მოსახლეობის, როგორც სოციალ-ეკონომიკური განვითარების, ასევე ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა.